განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„საერთაშორისო დაცვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

წარმოდგენილი კანონის პროექტი მიზნად ისახავს უცხოელისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწასა და ევროკავშირის თავშესაფრის შესაბამისი დირექტივების საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვას.

„საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №810 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიის თანახმად, თავშესაფრის სისტემის განვითარებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განსაზღვრულია ევროკავშირის თავშესაფრის კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტებისა და მიდგომების საქართველოს კანონმდებლობაში მეტად დანერგვა მიზანშეწონილობისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ მოქმედ კანონში ნაწილობრივ ასახულია ევროკავშირის თავშესაფრის კანონმდებლობის ცალკეული დებულებები, თუმცა, ევროკავშირის დირექტივებთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად კანონის ცალკეული ნორმები საჭიროებს შემდგომ დახვეწას.

წარმოდგენილი კანონის პროექტის მომზადების დროს გამოყენებულ იქნა ევროკავშირის შემდეგი დირექტივები:

2011 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/95/EU დირექტივა „მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სტანდარტების, ლტოლვილის სტატუსის, ან დამატებითი დაცვის მქონე პირებისთვის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისა და მინიჭებული დაცვის არსის შესახებ“ (შესწორებული);

2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/32/EU დირექტივა „საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების საერთო პროცედურების შესახებ“ (შესწორებული);

2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/33/EU დირექტივა, რომელიც ადგენს თავშესაფრის მაძიებლების მიღების სტანდარტებს (შესწორებული).[1]

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული კანონის მიღება არ გამომდინარეობს ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან დაახლოების ვალდებულებიდან, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების დებულებების ქართულ კანონმდებლობაში ასახვა უზრუნველყოფს ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან თანხვედრას.

ამასთან, საყურადღებოა, კანონის აღსრულებისას პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები, მაგალითად, როგორიცაა:

---

[1] ევროკავშირის აღნიშნული სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის ვალდებულება არც „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ და არც ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან არ გამომდინარეობს.

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების (შემდგომ – განცხადება) დასაშვებობის ეტაპის არარსებობა, რაც უზრუნველყოფდა ცალკეული განცხადებების არსებით განხილვამდე გაფილტვრას;

განცხადების განხილვის გამარტივებული პროცედურის არარსებობა;

განცხადების განხილვის შეჩერების შემთხვევაში თავშესაფრის პროცედურის უსაფუძვლოდ გაჭიანურება;

პენიტენციურ დაწესებულებაში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებით ბოროტად სარგებლობა;

საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებისას გაძევებას ან ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის გაძევებასთან/ექსტრადიციასთან დაკავშირებული სირთულეები;

საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილების ან განჩინების, ასევე სასამართლო უწყების პირისთვის საკუთარ მისამართზე ჩაბარებასთან დაკავშირებული სირთულეები და სხვა.

დასახელებული პრობლემური საკითხების გათვალისწინებით, პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრის, ეფექტიანი თავშესაფრის სისტემის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწის მიზნით, მიზანშეწონილია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ახლებურად ჩამოყალიბება.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოში თავშესაფრის პროცედურის განხორციელების, ასევე, საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განმსაზღვრელ ძირითად სამართლებრივ აქტს წარმოადგენს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, ზემოთ განხილულ გამოწვევებზე საპასუხოდ და საქართველოს კანონმდებლობაში ევროკავშირის თავშესაფრის კანონმდებლობის დებულებების ასახვის მიზნით აუცილებელია შემუშავებულ იქნეს ახალი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად დაიხვეწება საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხები და საქართველოს კანონმდებლობაში აისახება ევროკავშირის თავშესაფრის კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი სიახლეები:

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა

მოქმედი რეგულაციით არ არის განსაზღვრული, ვის უნდა მიმართოს უცხოელმა ან მოქალაქეობის არმქონე პირმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის თაობაზე. აღნიშნული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, წარმოდგენილი კანონის პროექტით განისაზღვრება ის უწყებები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მიღებაზე. კერძოდ:

უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება ექნება საერთაშორისო დაცვა მოითხოვოს მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე, საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნისას, მხოლოდ სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში. საერთაშორისო დაცვა აგრეთვე შეიძლება მოთხოვნილი იქნეს:

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოში;

ბ) სასაზღვრო პროცედურის შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოში;

გ) უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას, პენიტენციურ დაწესებულებაში.

დამატებითი დაცვა

მოქმედი კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, საქართველოში არსებობს საერთაშორისო დაცვის შემდეგი ფორმები: ლტოლვილის სტატუსი, ჰუმანიტარული სტატუსი და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/95/EU დირექტივით „მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სტანდარტების, ლტოლვილის სტატუსის, ან დამატებითი დაცვის მქონე პირებისთვის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისა და მინიჭებული დაცვის არსის შესახებ“ (შესწორებული) საერთაშორისო დაცვის ერთ-ერთ ფორმად განსაზღვრულია დამატებითი დაცვა, ხოლო ჰუმანიტარულ სტატუსს, როგორც საერთაშორისო დაცვის ფორმას, დირექტივა არ ითვალისწინებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დირექტივით განსაზღვრული დამატებითი დაცვა და მასთან დაკავშირებული პროცედურები კანონით განსაზღვრული ჰუმანიტარული სტატუსის მსგავსია. შესაბამისად, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, ჰუმანიტარული სტატუსი იცვლება დამატებითი დაცვით.

დასაშვებობის ეტაპი

ყველა განცხადება გაივლის დასაშვებობის პროცედურას. კერძოდ, განცხადების არსებით განხილვაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მოხდება განცხადებების წინასწარი „სკრინინგი“, რითაც შესაძლებელი გახდება ცალკეული განცხადებების საწყის ეტაპზევე გაფილტვრა და თავშესაფრის სისტემის განტვირთვა.

კანონით განისაზღვრება განცხადების დაუშვებლად ცნობის საფუძვლები, მაგალითად, როგორიცაა: თუ უცხოელისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის საერთაშორისო დაცვა მინიჭებულია სხვა სახელმწიფოს მიერ, რომელიც ამ პირისთვის წარმოადგენს უსაფრთხო ქვეყანას, ასევე, თუ პირი მსჯავრდებულია საქართველოში განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის ან თუ პირისთვის არსებობს უსაფრთხო მესამე ქვეყანა.

განცხადების დასაშვებობის დადგენის მიზნით (გარდა განმეორებითი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევისა) პირთან ტარდება ანკეტირება, სადაც მას ეძლევა თავისი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა.

განცხადების დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ანკეტირების ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში და პირს ბარდება კანონით დადგენილი წესით. უფლებამოსილი თანამდებობის პირის გადაწყვეტილებით აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ერთჯერადად, არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადით.

აღსანიშნავია, რომ პირი თავშესაფრის მაძიებლად მიიჩნევა, თავშესაფრის მაძიებლის ცნობას იღებს და მასთან დაკავშირებულ უფლებებს იძენს განცხადების დასაშვებად ცნობის შემთხვევაში. სამინისტროს მიერ დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე პირს გადაეცემა

ცნობა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის თაობაზე, რაც ადასტურებს ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში მის კანონიერად ყოფნას.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, საქალაქო სასამართლოში, ხოლო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში.

საგულისხმოა, რომ განცხადების დაუშვებლად მიჩნევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ასევე, მისი საქალაქო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, რადგანაც პირი თავშესაფრის მაძიებლად არ მიიჩნევა, მასზე არ გავრცელდება პროექტის მე-8 მუხლით განსაზღვრული არგაძევების პრინციპი და შესაბამისი აქტის უცხოელისთვის ჩაბარების შემდეგ დასაშვები იქნება მისი საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია.

უსაფრთხო მესამე ქვეყანა

დასაშვებობის პროცედურის ეფექტიანად განხორციელების მიზნით საკანონმდებლო დონეზე გაიწერება უსაფრთხო მესამე ქვეყნის ცნება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ცნებას ითვალისწინებს 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/32/EU დირექტივა „საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების საერთო პროცედურების შესახებ“ (შესწორებული). კანონის პროექტის თანახმად, უსაფრთხო მესამე ქვეყანა არის ქვეყანა, რომელიც არ არის უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის წარმოშობის ქვეყანა, თუმცა, უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირსა და ამ ქვეყანას შორის არსებული კავშირის საფუძველზე, შესაძლებელია ამ ქვეყანაში ამ პირის კანონიერი გზით დაშვება.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის უსაფრთხო მესამე ქვეყნად მიჩნევისთვის აუცილებელია ამ ქვეყანაში უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის სიცოცხლეს ან თავისუფლებას არ შეექმნას საფრთხე მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, დაცული იქნეს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან, არგაძევების პრინციპის დარღვევით არ მოხდეს მისი ამ ქვეყნიდან გაძევება. ამასთან, ამ ქვეყანაში პირს უნდა მიეცეს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნისა და მისთვის ასეთი საჭიროების დადგენის შემთხვევაში შესაბამისი დაცვის მიღების შესაძლებლობა.

განცხადების საზღვარზე განხილვა

ცალკეული განცხადებების საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განხილვისთვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის შექმნის მიზნით, პროექტი ითვალისწინებს განცხადების განხილვის ახალი წესს, რაც გულისხმობს უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ან საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებულ სატრანზიტო ზონაში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში მისი განცხადების საქართველოს საზღვარზე განხილვის შესაძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ განცხადება საზღვრის პროცედურით განიხილება ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:

თუ არსებობს განცხადების დაუშვებლად ცნობის ან დაჩქარებული წესით განხილვის საფუძვლები;

თუ პირი წარმოადგენს საფრთხეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, ტერიტორიული მთლიანობისთვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის;

თუ პირი გაძევებული იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, ტერიტორიული მთლიანობისთვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის გამო.

საზღვარზე თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში პირთან ტარდება პირველადი გასაუბრება და კანონით გათვალისწინებული საფუძვლების დადგენის შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება განცხადების საზღვარზე განხილვის შესახებ. პირს განემარტება განცხადების საზღვარზე განხილვის წესი. ამასთან, მას ექნება შესაძლებლობა, საზღვრის პროცედურის განმავლობაში ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარებითა და თარჯიმნის მომსახურებით.

საზღვრის პროცედურის ფარგლებში უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი განთავსებული იქნება საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, მისი განთავსებისთვის შესაბამისი პირობების არსებობის გათვალისწინებით.

საზღვრის პროცედურის ფარგლებში განცხადება განიხილება 7 კალენდარული დღის ვადაში, ანკეტირების საფუძველზე. მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება 7 კალენდარული დღის ვადაში საქალაქო სასამართლოში და სარჩელი განიხილება დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 7 კალენდარული დღის ვადაში, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

განცხადების საზღვარზე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა, მათ შორის, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 28 კალენდარულ დღეს. იმ შემთხვევაში, თუ 28 კალენდარული დღის ვადაში გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, პირს ეძლევა საქართველოს ტერიტორიაზე შესვლის უფლება და მისი განცხადება განიხილება კანონით დადგენილი წესით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის თავიდან არიდებისა და შესაბამისი ლეგიტიმური მიზნების დაცვის უზრუნველსაყოფად პირის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვების მიუხედავად, თუ არსებობს შესაბამისი ინფორმაცია, რომ ის საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შესაძლებელი იქნება მისი დაკავება.

განცხადების საზღვარზე განხილვისას უცხოელისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვის მქონე პირი სარგებლობს კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.

უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის დაკავების საფუძვლები

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული ცალკეული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის მიზნით, წარმოდგენილი კანონის პროექტით, ევროკავშირის დირექტივებისა და გაეროს თავშესაფრის მაძიებლის დაკავების სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით, გაფართოვდა უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის დაკავების საფუძვლები.

კერძოდ, უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის დაკავება, ასევე შესაძლებელი იქნება, განცხადების საზღვარზე განხილვის პროცედურის ფარგლებში, თუ გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხერხდა კანონით დადგენილ ვადაში და პირი წარმოადგენს საფრთხეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, თუ იგი უხეშად არღვევს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს, თუკი არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირი საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, ასევე, იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი/თავშესაფრის მაძიებელი არ შეასრულებს მოსამართლის მიერ განსაზღვრულ დაკავების ალტერნატიული ზომით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი/თავშესაფრის მაძიებელი

დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა არ წარედგინება სასამართლოს, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დაკავებულისთვის შესაბამისი უფლებრივი გარანტიების დადგენის მიზნით, კანონის პროექტით ზუსტდება, რომ უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს/თავშესაფრის მაძიებელს დაკავებისთანავე, მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ მას ესმის გასაგები ფორმით განემარტება შესაბამისი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. კანონით ასევე ზუსტდება უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადები.

ამასთან, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს უცხოელის დაკავების ალტერნატიულ ზომებს, რომლებიც სასამართლოს მიერ პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება. დაკავების, როგორც უფლების მზღუდავი ღონისძიების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილია, დაკავების ალტერნატიული ზომები განსაზღვრული იყოს უცხოელთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან/თავშესაფრის მაძიებელთან მიმართებითაც. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის დაკავების ალტერნატიული ზომები: პოლიციის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში ან/და სამინისტროს სხვა უფლებამოსილ დანაყოფში რეგულარული, არაუმეტეს კვირაში ორჯერ გამოცხადება და საქართველოს მოქალაქის თავდებობა. პროექტით ასევე განისაზღვრება ალტერნატიული ზომის გამოყენების ვადასთან დაკავშირებული საკითხები.

ადვოკატის წარმომადგენლობა

პროექტის თანახმად განისაზღვრება, რომ უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს უფლება ექნება თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საკუთარი ხარჯებით, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურების უფლებით, ხოლო განცხადების საზღვარზე განხილვისას ან საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან, მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, გაუქმებასთან ან ჩამორთმევასთან, ასევე, დამატებითი ან დროებითი დაცვის გაგრძელების ან მის გაგრძელებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული სასამართლო დავის წარმოებისას კი – უფასო იურიდიული დახმარებით.

თავშესაფრის პროცედურის ფარგლებში ადვოკატის მონაწილეობასთან დაკავშირებული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით კანონში მიეთითება, რომ თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას, მათ შორის, სასამართლო დავის წარმოების დროს, ადვოკატის მონაწილეობას არ გააჩნია სავალდებულო ხასიათი, ამასთან, შესაძლებელია სასამართლოს დავის წარმოებაში მისი მონაწილეობა განხორციელდეს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და მისი ანკეტირებაზე, გასაუბრებაზე ან სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ შეაფერხებს ანკეტირების/გასაუბრების ჩატარებას ან სასამართლოში საქმის განხილვას.

შესაბამისად, თუ პირს ჰყავს ადვოკატი/კანონიერი წარმომადგენელი, მას შესაძლებლობა ექნება დაესწროს თავშესაფრის მაძიებლის გასაუბრებას. ადვოკატს/კანონიერ წარმომადგენელს შეკითხვების დასმისა და კომენტარების გაკეთების უფლება, გასაუბრების ჩამტარებელი პირის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, ექნება გასაუბრების დასრულებისას.

ამასთან, თავშესაფრის პროცედურის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, თუ ადვოკატის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით ფერხდება თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობა, მათ შორის, სასამართლო

დავის წარმოებისას, თავშესაფრის პროცედურა განხორციელდება ადვოკატის/კანონიერი წარმომადგენლის გარეშე.

ზემოაღნიშნული რეგულაციები არ ვრცელდება თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანზე. თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანთან ანკეტირებას/გასაუბრებას ესწრება მისი კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი, რომელსაც შეუძლია ანკეტირების ან გასაუბრების მიმდინარეობისას დასვას შეკითხვები ან გააკეთოს კომენტარები, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის/საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ არჩეული ადვოკატი, სასამართლო სარჩელს განიხილავს ადვოკატის მონაწილეობის გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში არ ინიშნება ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა პენიტენციურ დაწესებულებაში

წარმოდგენილი კანონის პროექტი ასევე განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებაში უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. კერძოდ, უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულის ან მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებისთანავე, არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი პირი მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც შეიძლება გონივრულად ჩაითვალოს, რომ მას ესმის აწვდის შემდეგ ინფორმაციას:

სასჯელის მოხდის შემდეგ ან სასჯელის მოხდისგან ნებისმიერი სხვა საფუძვლით გათავისუფლების შემდეგ საქართველოდან მისი შესაძლო გაძევების შესახებ;

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებისა და ამ უფლების რეალიზების ვადის შესახებ;

სამინისტროს მიერ საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევაში, 5 სამუშაო დღის ვადაში სამინისტროში გამოცხადების, მობილური ტელეფონის ნომრის, ასევე, ელექტრონული ფოსტის მისამართისა და საცხოვრებელი ადგილის მისამართის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარდგენის ვალდებულებისა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგების შესახებ.

დასახელებული ინფორმირების ვალდებულება არ ვრცელდება განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე, ასევე, ოჯახური დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებზე.

უცხოელ ან მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულს ან მსჯავრდებულს უფლება აქვს, საერთაშორისო დაცვა მოითხოვოს პენიტენციურ დაწესებულებაში, თავის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე, ხოლო შესაბამისი მინდობილობის მქონე ადვოკატის მეშვეობით ასევე – სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში, შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, სამინისტრო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მათ შორის, ამ გადაწყვეტილების ამ კანონით დადგენილი წესით, სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, არ ფერხდება საქართველოდან გაძევება ან საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ ექსტრადიციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება.

თუ უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე ბრალდებული ან მსჯავრდებული, რომელმაც მოითხოვა საერთაშორისო დაცვა,სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევაში, 5 დღის ვადაში არ გამოცხადდება სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტში და არ წარადგენს სავალდებულო საკონტაქტო ინფორმაციას, თავშესაფრის პროცედურა შეწყდება. აღნიშნულის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის უცხოელისთვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის ჩაბარების შემდეგ, ასევე, კანონით დადგენილი წესით მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი თავშესაფრის მაძიებლად არ მიიჩნევა, მასზე არ ვრცელდება არგაძევების პრინციპი და ამ აქტის გამოცემის მომენტიდან დასაშვებია აღნიშნული პირის ექსტრადიცია ან საქართველოდან გაძევება.

პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულისთვის ან მსჯავრდებულისთვის საქართველოდან მისი შესაძლო გაძევების, ასევე, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის განმარტებასთან და სამინისტროსა და პენიტენციურ დაწესებულებას შორის ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

განცხადების დაჩქარებული წესით განხილვა

წარმოდგენილი კანონის პროექტით ფართოვდება განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის საფუძვლები. კერძოდ, განცხადება დაჩქარებული წესით განიხილება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანა არის უსაფრთხო. განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის საფუძვლები ასევე იქნება უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღებაზე ან ფოტოსურათის გადაღებაზე უარის გაცხადება, უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, საპატიო მიზეზის გარეშე, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა საქართველოში შემოსვლიდან 30 დღის შემდეგ და ა.შ.

ამასთან, განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის გამარტივების მიზნით, დაჩქარებული განხილვის ფარგლებში განცხადება განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მისი რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში.

საგულისხმოა, რომ განცხადების დაჩქარებული განხილვის საფუძვლებისა და მისი სპეციფიკური შინაარსის გათვალისწინებით, აღნიშნული პროცედურის ფარგლებში სამინისტროს მიერ პირისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე, ამ კანონით დადგენილი წესით მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, პირი არ მიიჩნევა თავშესაფრის მაძიებლად, მასზე არ გავრცელდება არგაძევების პრინციპი და შესაბამისი აქტის გამოცემის მომენტიდან დასაშვები იქნება მისი ექსტრადიცია ან საქართველოდან გაძევება.

უსაფრთხო წარმოშობის ქვეყანა

დაჩქარებული პროცედურის საფუძვლების გაფართოების გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის ცნება, რომელიც გულისხმობს ქვეყანას, სადაც ზოგადად და განგრძობადად სახეზე არ არის დევნა, წამების ან ღირსების შემლახავი ან არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი და არ არსებობს საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის საფუძველზე განურჩეველი ძალადობის საფრთხე. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ცნებას და მის საფუძველზე განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის შესაძლებლობას ასევე ითვალისწინებს 2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/32/EU დირექტივა „საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების საერთო პროცედურების შესახებ“ .

სამინისტროს მიერ განცხადების განხილვის ფარგლებში ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში შეფასდება, რამდენად არის პირის წარმოშობის ქვეყანა უსაფრთხო.

ოჯახის წევრის ცნება და წარმოებული სტატუსი

ევროკავშირის დირექტივასთან თანხვედრის უზრუნველყოფისა და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, იცვლება ოჯახის წევრის ცნება. კერძოდ, განისაზღვრება, რომ თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრად ჩაითვლება წარმოშობის ქვეყანაში უკვე არსებული ოჯახის წევრი, კერძოდ:

თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მეუღლე ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი;

ზემოხსენებულ პირთა დასაოჯახებელი არასრულწლოვანი შვილები რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული ქორწინებიდან ან წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შვილად აყვანილი არასრულწლოვნები;

დასაოჯახებელი არასრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის დედა, მამა ან კანონიერი წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი რეგულაციისგან განსხვავებით, სრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებლისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მშობლები სრულად გამოირიცხებიან ოჯახის წევრის ცნებიდან.

ამასთან, თავშესაფრის მაძიებლის დამატებულ ოჯახის წევრზე სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელებასთან დაკავშირებული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, წარმოდგენილი კანონის პროექტით დგინდება, რომ თუ ოჯახის წევრთა განცხადებას ერთი და იგივე საფუძველი აქვს ან ოჯახის წევრი ემატება თავშესაფრის პროცედურის, მათ შორის, სასამართლო დავის მიმდინარეობისას, საერთაშორისო დაცვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის ოჯახის წევრ(ებ)ზეც გავრცელდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის ან საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვის კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძველი.

სასამართლოს გადაწყვეტილებისა და განჩინების ჩაბარება

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან, მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, გაუქმებასთან ან ჩამორთმევასთან დაკავშირებით, ასევე, დამატებითი ან დროებითი დაცვის გაგრძელების ან მის გაგრძელებაზე უარის თქმასთან დაკავშირებული სასამართლო დავის ფარგლებში სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინების, ასევე სასამართლო უწყების პირისთვის ჩაბარებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, წარმოდგენილი კანონის პროექტით დგინდება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების, განჩინების, ასევე სასამართლო უწყების გამოტანის შემდეგ, სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილების, განჩინების ან სასამართლო უწყებას, უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს აბარებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების გზით. აღნიშნული მიზნებისთვის სასამართლოს უფლებამოსილ პირებს ექნებათ წვდომა სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონის პროექტი ითვალისწინებს ცალკეული ნორმების ახლებურად ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს თავშესაფრის პროცედურის დახვეწას და კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან თანხვედრას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

„საქართველოს 2021 – 2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის №810 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიის თანახმად, თავშესაფრის სისტემის განვითარებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად განსაზღვრულია ევროკავშირის თავშესაფრის კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტებისა და მიდგომების საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვა.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი ნაწილის (კანონის პირველი-86-ე მუხლები, 87-ე მუხლი მე-4-მე-5 პუნქტები და 88-ე მუხლი) ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 1 სექტემბერი, ვინაიდან ახალი რეგულაციების იმპლემენტაციისათვის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს მიეცეთ სათანადო დრო, ხოლო კანონის გარდამავალი დებულებების ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების გამოცემას, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკუთარი შემოსავლები. აღნიშნული ხარჯები საჭიროების შესაბამისად დაფინანსდება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის X თავით გათვალისწინებულ, შესაბამის სახელმწიფო უწყებათა საბიუჯეტო ასიგნებებიდან და საკუთარი შემოსავლებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, ეფექტიანი თავშესაფრის სისტემის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწის მიზნით, კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი პროცედურები გაზრდის სასამართლოსთვის მიმართვიანობას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება სახელმწიფო ბაჟის გადახდის შედეგად მიღებულ შემოსავლებზე.

წარმოდგენილი კანონის პროექტის თანახმად, საერთაშორისო დაცვაზე წარდგენილი ყველა განცხადება გაივლის დასაშვებობის ეტაპს და განცხადების არსებით განხილვაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მოხდება განცხადებების წინასწარი „სკრინინგი“, რითაც შესაძლებელი გახდება ცალკეული განცხადებების საწყის ეტაპზევე გაფილტვრა და თავშესაფრის სისტემის განტვირთვა. დასაშვებობის პროცედურასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში.

პროექტი ასევე ითვალისწინებს განცხადების განხილვის ახალი წესს, რაც გულისხმობს უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ან

საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებულ სატრანზიტო ზონაში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში მისი განცხადების საქართველოს საზღვარზე განხილვის შესაძლებლობას. საზღვრის პროცედურის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

კანონის პროექტით ფართოვდება განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის საფუძვლები. კერძოდ, განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის საფუძვლები ასევე იქნება უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ხელის თითისა და ხელისგულის ანაბეჭდების აღებაზე ან ფოტოსურათის გადაღებაზე უარის გაცხადება, უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, საპატიო მიზეზის გარეშე, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა საქართველოში შემოსვლიდან 3 თვის შემდეგ და ა.შ. დაჩქარებული წესით განხილვის საფუძვლების გაფართოება შესაბამისად გამოიწვევს დაჩქარებული წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევების გაზრდას.

სახელმწიფო ბაჟის გადახდის შედეგად მიღებული შემოსავლების რაოდენობა დამოკიდებული იქნება სასამართლოში განსახილველი საქმეების ყოველწლიურ მაჩვენებელზე. სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, რომლის თანახმადაც, არაქონებრივ დავაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობაა 100 ლარი, სააპელაციო საჩივარზე – 150 ლარი.

აქვე აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით საჭირო იქნება სამინისტროს მიერ შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზებაც. ადამიანური რესურსის მატებასთან ერთად კი გაიზრდება საბიუჯეტო შემოსულობები. მათ შორის, ერთი ახალი თანამშრომლის სახელფასო ფონდიდან საშემოსავლო გადასახადის სახით საშუალოდ 329.6 ლარის ოდენობით თვეში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონის პროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან პროექტით გათვალისწინებული ცალკეული სიახლეების დანერგვა დაკავშირებული იქნება ადმინისტრაციულ ხარჯებთან. ამასთან, კანონპროექტის მიღებით მნიშვნელოვნად შემცირდება თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირების მიმართ მოქმედ სახელმწიფო პროგრამებსა და გაძევების პროცედურაში სახელმწიფოს მიერ გასაწევი ხარჯები.

კერძოდ, კანონის პროექტი ითვალისწინებს განცხადების საზღვარზე განხილვის წესს, რაც გულისხმობს უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ან საქართველოს კონტროლს დაქვემდებარებულ სატრანზიტო ზონაში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში მისი განცხადების საქართველოს საზღვარზე განხილვის შესაძლებლობას. უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირთა განთავსებისათვის ღირსეული პირობების შექმნის მიზნით საჭირო იქნება ცალკეულ სასაზღვრო გამტარ პუნქტზე შესაბამისი სივრცეების მოწყობა და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება.

კანონის პროექტით ასევე გათვალისწინებულია განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის საფუძვლების გაფართოება.

ზემოხსენებული პროცედურების განხორციელების მიზნით საჭირო იქნება სამინისტროს მიერ შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზება, სამინისტროსთან ერთად, კანონპროექტით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით შესაძლებელია საჭირო გახდეს

ადამიანური რესურსის დამატება სხვა სახელმწიფო უწყებებშიც, რაც განხორციელდება შესაბამისი უწყებებისთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული რიცხოვნობებისა და ასიგნებების ფარგლებში, შესაბამისი წლის ბიუჯეტიდან.

ამასთან, საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული ცალკეული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის მიზნით წარმოდგენილი კანონის პროექტით შემოთავაზებულია უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის დაკავების საფუძვლების გაფართოება. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს დაკავებული პირების რაოდენობის ზრდა, რაც დაკავშირებული იქნება შესაბამის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ ხარჯებთან. კერძოდ, აღნიშნული გამოიწვევს დაკავებული უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის ყოველდღიური შენახვის ხარჯების გაზრდას, დღეის მდგომარეობით, დროებითი განთავსების ცენტრში დაკავებულის ყოველდღიური შენახვის ხარჯი არასრულწლოვნის შემთხვევაში წარმოადგენს 18.87 ლარს, სრულწლოვნის შემთხვევაში – 20.81 ლარს. უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის/თავშესაფრის მაძიებლის დაკავებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება დაკავებულ უცხოელთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა/თავშესაფრის მაძიებელთა ყოველწლიურ რაოდენობაზე.

რადგანაც წარმოდგენილი კანონის პროექტით გარკვეულწილად ფართოვდება უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირის გაძევებასთან დაკავშირებული შემთხვევები, გაძევების ყოველწლიური რაოდენობის პირდაპირპროპორციულად გაიზრდება აღნიშნულთან დაკავშირებული შესაბამისი ადმინისტრაციული ხარჯების რაოდენობაც. უცხოელის საქართველოდან იძულებითი გაძევების ხარჯების საფასური დამოკიდებულია მათი წარმოშობის ქვეყნების მიმართულებით არსებულ სამგზავრო ტარიფებზე. მაგალითად, აზერბაიჯანის მოქალაქის სამშობლოში გასამგზავრებელი ბილეთის ღირებულება მერყეობს 500-დან 600 ლარამდე. ამას ემატება ესკორტის ორმხრივი გზის საფასურიც 2 თანამშრომელზე 800-დან 900 ლარამდე, რაც საერთო ჯამში აღწევს 2500-2600 ლარს ერთ პირზე.

წარმოდგენილი კანონის პროექტით საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების, განჩინების, ასევე სასამართლო უწყების გამოტანის შემდეგ, სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილების, განჩინების ან სასამართლო უწყებას, უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს აბარებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსების გზით. ვებგვერდის ფუნქციონირება და აღნიშნული გადაწყვეტილების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსება განხორციელდება სამინისტროსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ამასთან, შესაბამისი საჩივრის არსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან, მინიჭებასთან, შეწყვეტასთან, გაუქმებასთან ან ჩამორთმევასთან, ასევე, დამატებითი ან დროებითი დაცვის გაგრძელების ან მის გაგრძელებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების მიერ საქმის განხილვა მოხდება მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის საჭირო ხარჯები საშუალოვადიან პერიოდში დაფინანსდება სამინისტროებისათვის საშუალოვადიან პერიოდზე ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

გარდა ამისა, წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღება მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირების რაოდენობას, რითაც პირდაპირპროპორციულად შემცირდება თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის

მქონე პირების მიმართ მოქმედ სახელმწიფო პროგრამებში სახელმწიფოს მიერ გასაწევი ხარჯები. კერძოდ, საქართველოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებლებისა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირების მიმართ მოქმედებს რიგი სახელმწიფო პროგრამებისა, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამის საბიუჯეტო სახსრებს/ხარჯებს და ადამიანურ რესურსს. მაგალითად:

- თავშესაფრის მაძიებლები სარგებლობენ მიმღებ ცენტრში უფასო განთავსების უფლებით;
- თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების უფლებით; მათთვის მოქმედებს ქართული ენის შესწავლის პროგრამა;
- თავშესაფრის მაძიებლებს, ასევე ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს წვდომა აქვთ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაზე";
- ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები იღებენ ყოველთვიურ სოციალურ შემწეობას 45 ლარის ოდენობით. მაგალითისთვის, 2018 წელს, საერთაშორისო დაცვის მქონე პირებზე ჯამში გაიცა 608760 ლარის ოდენობის სოციალური შემწეობა, 2019 წელს – 571995 ლარი; 2020 წელს – 567180 ლარი, 2021 წელს – 535140 ლარი, 2022 წელს – 581625 ლარი, 2023 წელს – 630945 ლარი, ხოლო 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით – 482625 ლარი;
- ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ მიზნობრივი სოციალური პროგრამის საარსებო შემწეობის მიღების უფლებით, რომელიც ინიშნება შესაბამისი მოკვლევისა და შეფასების შემდგომ, ოჯახის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე. საარსებო შემწეობა ინიშნება ოჯახის უფროსსა და ოჯახის წევრებზე 60 ლარის ოდენობით, ხოლო ოჯახის არასრულწლოვანი პირზე – 100 ლარის ოდენობით (აღნიშნული საარსებო შემწეობის დანიშვნის შემთხვევაში, ბენეფიციარები ვეღარ აიღებენ ყოველთვიურ სოციალურ შემწეობას – 45 ლარის ოდენობით);
- თავშესაფრის მაძიებლები, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარების უფლებით „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ სტატუსებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე.

თავშესაფრის მაძიებლები ზემოაღნიშნული პროგრამებით სარგებლობენ თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში – საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის მომენტიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე – რაც, შესაძლოა გაგრძელდეს რამდენიმე წლის განმავლობაში (სასამართლო განხილვის პერიოდის ჩათვლით).

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

წარმოდგენილი კანონის პროექტის თანახმად უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს უფლება ექნება თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საკუთარი ხარჯებით, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურების უფლებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს საკითხი ფინანსურ შედეგებს წარმოშობს იმ უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის, თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირისთვის, რომლებიც საკუთარი ხარჯებით

ისარგებლებენ იურიდიული მომსახურებით. ამასთან, უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის, თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ იურიდიული მომსახურების მიღებისთვის გადახდილი ჰონორარი დადებით ფინანსურ შედეგებს წარმოშობს ადვოკატებისთვის.

ეფექტიანი თავშესაფრის სისტემის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწის მიზნით, კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი პროცედურები გაზრდის სასამართლოსთვის მიმართვიანობას, რაც უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების გაზრდას გამოიწვევს.

ამასთან, კანონპროექტით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით საჭირო იქნება სამინისტროს მიერ შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზებაც, რაც გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და დასაქმებული პირებისთვის დადებით ფინანსურ შედეგებს წარმოშობს. ერთი ახალი თანამშრომელი მიიღებს ანაზღაურებას საშუალოდ 1648 ლარის ოდენობით, ასევე, დამსაქმებლის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანის ოდენობა, ერთ თანამშრომელზე, საშუალოდ შეადგენს 32.96 ლარს, დაზღვევის ოდენობა – საშუალოდ 87 ლარს, უნიფორმის ღირებულება საშუალოდ – 356 ლარს.

ამასთან, კანონპროექტით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით, შესაძლებელია საჭირო გახდეს ადამიანური რესურსის დამატება სხვადასხვა უწყებებში, რაც დადებით ფინანსურ გავლენას იქონიებს იმ პირებზე, რომლებიც დასაქმდებიან ამ პოზიციებზე და მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს. წარმოდგენილი კანონის პროექტი ეხმიანება თავშესაფრის პოლიტიკის განმსაზღვრელ ევროკავშირის შემდეგ დირექტივებს:

2011 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011/95/EU დირექტივა „მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სტანდარტების, ლტოლვილის სტატუსის, ან დამატებითი დაცვის მქონე პირებისთვის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისა და მინიჭებული დაცვის არსის შესახებ“ (შესწორებული);

2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/32/EU დირექტივა „საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების საერთო პროცედურების შესახებ“ (შესწორებული);

2013 წლის 26 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013/33/EU დირექტივა, რომელიც ადგენს თავშესაფრის მაძიებლების მიღების სტანდარტებს (შესწორებული).

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონის პროექტით ხდება საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციების დადგენა და არსებული რეგულაციების დახვეწა. წარმოდგენილი კანონის პროექტის მომზადებისას გაზიარებულ იქნა ევროპის ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობა.

ჩეხეთი[2]

ჩეხეთში საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო. პირის მიერ განცხადების წარდგენის შემდეგ ხდება მისი დასაშვებობის შემოწმება. განცხადების დაუშვებლად ცნობის საფუძვლებია, მათ შორის:

პირის ჩეხეთის ტერიტორიაზე იმ ქვეყნიდან შემოსვლა, რომელსაც ჩეხეთი მიიჩნევს უსაფრთხო მესამე ქვეყნად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი წარადგენს არგუმენტებს, რის გამოც მისთვის ქვეყანა ვერ იქნება მიჩნეული უსაფრთხოდ;

პირის მიერ განმეორებითი განცხადების წარდგენა, რომელიც დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ჩეხეთში მოქმედებს საზღვრის პროცედურა, რომლის ფარგლებში პოლიცია უფლებამოსილია პირი განათავსოს აეროპორტში არსებულ მიმღებ ცენტრში. თუ აეროპორტში არ არის მიმღები

[2] https://www.refworld.org/legal/legislation/natlegbod/1999/en/115506

ცენტრი, პოლიციას პირი გადაჰყავს სხვა აეროპორტში არსებულ მიმღებ ცენტრში ან სამინისტროს მიერ განსაზღვრულ აეროპორტში არსებულ თავშესაფრის სხვა დაწესებულებაში, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც მიმღები ცენტრი. ამასთან, სამინისტრო პირს ატყობინებს, რომ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა არ არის მისთვის ჩეხეთის ტერიტორიაზე შესვლის უფლების მინიჭების საფუძველი და მას მოუწევს აეროპორტის მიმღებ ცენტრში ყოფნა.

აეროპორტში არსებულ მიმღებ ცენტრში განთავსებული პირი ვალდებულია ჩააბაროს ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება და საგანი, რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას სხვა პირთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა არ შეასრულა ზემოხსენებული ვალდებულება, დასაშვებია როგორც ამ პირის პირადი ნივთების, ასევე, უშუალოდ ამ პირის ჩხრეკა.

ჩეხეთის ტერიტორიაზე შესვლის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პირის აეროპორტის მიმღებ ცენტრში ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს განცხადების წარდგენიდან 120 დღეს.

საერთაშორისო დაცვის სფეროში სამინისტროს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება სასამართლოში საჩივრდება პირისთვის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში.

გერმანია[3]

გერმანიაში საერთაშორისო დაცვაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური ოფისი (შემდგომ – ფედერალური ოფისი).

განცხადება საზღვრის პროცედურით განიხილება იმ შემთხვევაში, თუ:
პირი შემოდის უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნიდან;
პირს არ შეუძლია თავისი იდენტობის დადასტურება შესაბამისი დოკუმენტის არარსებობის გამო.

საზღვრის პროცედურის საერთო ხანგრძლივობა, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადის ჩათვლით, არის 19 დღე. ფედერალური ოფისი საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს 2 დღის ვადაში, რომელიც სასამართლოში საჩივრდება 3 დღის ვადაში. სასამართლო საქმეს განიხილავს 14 დღის ვადაში. ფედერალური ოფისის გადაწყვეტილების გასაჩივრება ავტომატურად არ აჩერებს მის აღსრულებას, თუმცა, პირი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების მოთხოვნით.

საზღვრის პროცედურის ფარგლებში პირს გერმანიის ტერიტორიაზე შესვლის უფლება აქვს, თუ:
ფედერალურმა ოფისმა გადაწყვეტილება ვერ მიიღო 2 დღის ვადაში;
სასამართლომ გადაწყვეტილება ვერ მიიღო 14 დღის ვადაში.

ჩვეულებრივი და დაჩქარებული პროცედურის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება 2 კვირის ვადაში. გასაჩივრება აჩერებს მის აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:
ფედერალურმა ოფისმა განცხადება დაუშვებლად ცნო;
ფედერალურმა ოფისმა განცხადება აშკარად დაუსაბუთებლად ცნო (ამ შემთხვევაში პირს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისთვის აქვს 1 კვირა).

საერთაშორისო დაცვის სფეროში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომი გასაჩივრება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. მაგალითად, როდესაც საქმე არის

[3] https://asylumineurope.org/reports/country/germany/asylum-procedure/

ფუნდამენტური მნიშვნელობის ან ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაარღვია სამართლის ძირითადი პრინციპები.

უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია:

საზღვრის პროცედურის ფარგლებში ფედერალური ოფისის მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას;

სხვა პროცედურის ფარგლებში, თუ სასამართლოს შეფასებით, საქმეს აქვს წარმატების პერსპექტივა.

ესპანეთი[4]

საერთაშორისო დაცვაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა თავშესაფრისა და ლტოლვილთა ოფისი.

საზღვრის პროცედურა გამოიყენება ყველა პირის მიმართ, ვინც საერთაშორისო დაცვას ითხოვს საზღვარზე. თავშესაფრისა და ლტოლვილთა ოფისი გადაწყვეტილებას იღებს 4 დღის ვადაში. პირს უფლება აქვს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში საქმის ხელახალი განხილვისთვის მიმართოს თავშესაფრისა და ლტოლვითა ოფისს, რომელიც საქმეს ხელახლა განიხილავს 48 საათის ვადაში, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პირი უფლებამოსილია აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში. გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება ავტომატურად არ აჩერებს მის აღსრულებას, თუმცა, პირი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების მოთხოვნით.

დაჩქარებული პროცედურის ფარგლებში საქმე განიხილება 3 თვის ვადაში. აღნიშნული პროცედურის ერთ-ერთი საფუძველია პირის მიერ ესპანეთის ტერიტორიაზე შემოსვლიდან განცხადების 1 თვის შემდეგ წარდგენა.

საფრანგეთი[5]

საერთაშორისო დაცვაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ოფისი, რომელზეც ადმინისტრაციულ ზედამხედველობას ახორციელებს საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შესაბამისი დოკუმენტების არმქონე პირის მიერ საფრანგეთის საზღვარზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შემთხვევაში, განცხადება განიხილება საზღვრის პროცედურით. საზღვრის პროცედურის ვადა არ აღემატება 4 კვირას. გადაწყვეტილება საჩივრდება 48 საათის განმავლობაში, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს 72 საათის ვადაში, რომელიც სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება 15 დღის ვადაში. სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

დაჩქარებული პროცედურისას განცხადება განიხილება 15 დღის ვადაში (96 საათში, თუ პირი ადმინისტრაციული წესით დაკავებულია) და გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია 1 თვის ვადაში. სასამართლო საქმეს განიხილავს 5 კვირის ვადაში. გასაჩივრება აჩერებს მის აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

გადაწყვეტილება მიღებულია უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის კონცეფციის გამოყენებით;

განმეორებითი განცხადებაა;

პირი საფრთხეს უქმნის საჯარო წესრიგს.

დაჩქარებული პროცედურის ერთ-ერთი საფუძველია განცხადების პირის საფრანგეთის ტერიტორიაზე შემოსვლიდან 90 დღის გასვლის შემდეგ წარდგენა.

---

[4] https://asylumineurope.org/reports/country/spain/asylum-procedure/

[5] https://asylumineurope.org/reports/country/france/asylum-procedure/

შვეიცარია[6]

საერთაშორისო დაცვაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა მიგრაციის სახელმწიფო სამდივნო.

პირის მიერ საერთაშორისო დაცვის ჟენევის აეროპორტში მოთხოვნის შემთხვევაში, საქმე განიხილება საზღვრის პროცედურით. პირისთვის შვეიცარიის ტერიტორიაზე შესვლის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება 2 დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში ვერ იქნა გადაწყვეტილება მიღებული, შესაძლებელია პირს დროებით შეეზღუდოს შვეიცარიის ტერიტორიაზე შესვლის უფლება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე განთავსდეს აეროპორტში, რის შემდეგაც 20 დღის განმავლობაში მიიღება გადაწყვეტილება:

განცხადების დაუშვებლად ცნობის შესახებ;

საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

პირისთვის შვეიცარიის ტერიტორიაზე შესვლის უფლების მინიჭების შესახებ.

მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია 5 სამუშაო დღის ვადაში. გასაჩივრება ავტომატურად აჩერებს მის აღსრულებას.

მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს მიერ 20 დღის ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, პირს აქვს შვეიცარიის ტერიტორიაზე შესვლის უფლება და ის შესაძლებელია განთავსდეს თავშესაფრის დაწესებულებაში.

პირის გაძევების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი აეროპორტში დაყოვნება შესაძლებელია პირის მიერ თავშესაფრის მოთხოვნიდან 60 დღის ვადაში. თუ აღნიშნულ ვადაში ვერ აღსრულდება გაძევების გადაწყვეტილება, პირი შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს იმიგრაციის ადმინისტრაციული დაკავების ცენტრში.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.

[6] https://asylumineurope.org/reports/country/switzerland/asylum-procedure/